შემოქმედებითი კონკურსი

ვიზუალური კომუნიკაცია

რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი

აბიტურიენტთა მიღების ეტაპები:

01 შემოქმედებით კონკურსზე რეგისტრაცია (მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს)

02 შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოსადგენი მასალა (სამოტივაციო ვიდეო, სამოტივაციო ესსე, პორტფოლიო ან საკონკურსო დავალება).

შემოქმედებითი კონკურსის ეტაპები:

03 საკონკურსო შემოქმედებითი ნაშრომების/მასალის ჟიურის მიერ შეფასება და აბიტურიენტთა შერჩევა.

04 შერჩეული კანდიტატების ინტერვიუ (Face to face) ჟიურის წევრებთან. ნაშრომების ნამდვილობის დასადგენად შესაძლოა ჩატარდეს ვორქშოფი

05 შემოქმედებითი კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ, აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური და მესამე სავალდებულო საგნად ოთხიდან ერთ-ერთი (მათემატიკა, ხელოვნება, ლიტერატურა, ისტორია)

სამოტივაციო ვიდეო და სამოტივაციო ესსე:

სამოტივაციო ვიდეო (არაუმეტეს 90 წმ elevator pitch, youtube ან vimeo ბმული);
სამოტივაციო ესსე (არაუმეტეს 150 სიტყვა cover letter, pdf ან word ფორმატი)

შეფასების კრიტერიუმები -
მოტივაცია („რატომ შენ და არა სხვა“) და საკუთარი თავის გამოხატვის ფორმა/ხერხი.

პორტფოლიო:

იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტს სურს ჟიურის მიერ მისი შეფასება განხორციელდეს უკვე არსებული პორტფოლიოს წარდგენის საფუძველზე.

პორტფოლიო წარმოადგენს აბიტურიენტის დამოუკიდებელ ნაშრომს/ ნაშრომებს. ის უნდა გადმოსცემდეს მის შემოქმედებით პოტენციალს, ინდივიდუალიზმსა და არაორდინალურ ხედვას. პორტფოლიო შეიძლება შეიცავდეს ნახატებს/ილუსტრაციებს, გრაფიკული დიზაინის პროექტებს, ფოტოებს, ვიდეოებს და სხვა. სავალდებულოა თითოეულ პროექტს ახლდეს მოკლე აღწერა, საკვანძო სიტყვები, მოკლე წინადადებები.

პორტფოლიო უნდა განთავსდეს
უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პლატფორმაზე (behance.net) და პირადი ინფორმაციის ველში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ბმული.

საკონკურსო დავალება:

აბიტურიენტს შეუძლია პორტფოლიოს წარდგენის ნაცვლად აირჩიოს საპროექტო დავალების შესრულება. საკონკურსო დავალების არჩევის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეასრულოს 3 დავალებიდან ერთ-ერთი.

დავალება A: მე როგორც ბრენდი;
დავალება B: მდგრადობა, როგორც გლობალური გამოწვევა;
დავალება C: ინოვაცია და ახალი ციფრული საზოგადოება;

ვიზუალური გადაწყვეტა უნდა:
• შეესაბამებოდეს მოცემულობას
• გადმოსცემდეს აბიტურიენტის შემოქმედებით პოტენციალს, ინდივიდუალიზმსა და არაორდინალურ ხედვას

პროექტის მოცულობა: მაქსიმუმ 8 სლაიდი, პროექტს უნდა ახლდეს მოკლე აღწერა, საკვანძო სიტყვები, მოკლე წინადადებები. პროექტი უნდა აიტვირთოს pdf ან ppt ფორმატში.

დავალება A:
მე როგორც ბრენდი

ჩვენ გარშემორტყმული ვართ მილიარდობით ვიზუალური კომუნიკაციის ელემენტებით, გამოსახულებებით, სიტყვებით, ინფორმაციით, ლოგოებით, მუსიკით, პერსონალური პროფილებით, გავლენებით. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია იყოს ლიდერი და მიმდევარი ერთდროულად. სხვადასხვა იდენტობის პირობებში, რა არის ის, რაც თქვენ გაგხდით უნიკალურს? ვინ ხართ თქვენ როგორც ინდივიდი?

წარმოადგინეთ თქვენი თავი, როგორც ბრენდი სარეკლამო კამპანიის კონტექსტში, გამოსახატად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი საშუალება, რომელიც მიგაჩნიათ ადეკვატურად: ნებისმეირი გამოსახულება/სურათი, ჩანახატი, ესკიზი, ფოტო, ხმა, ვიდეო, ობიექტი, ტექსტი.

დავალება B:
მდგრადობა, როგორც გლობალური გამოწვევა

არსებობს გლობალურად ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე სამყაროს ღირებულებებზე. პლანეტის ხმა არის ჩვენი ცხოვრების სტილის, ჩვევებისა და სურვილებისადმი ჩვენი მიდგომის შეცვლა. კლიმატის ცვლილების ტემპი სწრაფია და მოითხოვს რეაგირებას.

ბრენდები და ინდუსტრიები იღებენ გამოწვევას. შესაბამისად, კომპანიები ცდილობენ შეცვალონ თავიანთი მიდგომები წარმოებასა და ვიზუალურ კომუნიკაციაში, იცვლება ღირებულებები, დიზაინი და მესიჯები, საწარმოო პროცესები, დისტრიბუცია და მასალები. რა არის მიღწევები ან შესაძლო განვითარება „მდგრადობის“ მიმართულებით?

აირჩიეთ, გაანალიზეთ ერთი ბრენდი, რომელიც თქვენი აზრით გვაწვდის ძლიერ ვიზუალურ მესიჯებს მდგრადობის თვალსაზრისით. იხელმძღვანელეთ ამით, როგორც მაგალითით, იპოვეთ კრეატიული გადაწყვეტა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გასაძლიერებლად. ვიზუალური ენა ყველაზე პირდაპირი და ეფექტური ზემოქმედების ინსტრუმენტია.
იდეის გამოსახატად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი საშუალება, რომელიც მიგაჩნიათ ადეკვატურად: ნებისმიერი გამოსახულება/სურათი, ჩანახატი, გრაფიკა, ესკიზი, ფოტო, ხმა, ვიდეო, ობიექტი, ტექსტი.

დავალება C:
ინოვაცია და ახალი ციფრული საზოგადოება

ინოვაცია არ არსებობს კრეატივისა და გამოგონების გარეშე. სწორედ მსგავსი პროდუქტები თუ სერვისები ახალგაზრდების შექმნილია. კრეატიულობის და ტექნოლოგიების ერთობლიობით იქმნება ინოვაციური სერვისები ან/და პროდუქტები ან ხდება არსებულის განახლება. დღეს, მობილური ტექნოლოგიები, სოციალური ქსელები, ციფრული გამოცდილება მრავალმხრივ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და მასზე დამოკიდებულს ხდის.

მოიფიქრეთ ინოვაციური პროდუქტი/მომსახურება, რომელიც შექმნის ქცევის ახალ კულტურას ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, გასამარტივებლად, ინფორმაციის ან მომსახურების სწრაფად მისაღებად. იდეის გამოსახატად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი საშუალება, რომელიც მიგაჩნიათ შესაფერისად: ნებისმიერი გამოსახულება/სურათი, ჩანახატი, გრაფიკა, ესკიზი, ფოტო, ხმა, ვიდეო, ობიექტი, ტექსტი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ნინო ლიპარტელიანი

ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: n.liparteliani@gipa.ge
მობ: +995 551 975 475;

გიორგი შუბლაძე

ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი
ელ. ფოსტა: g.shubladze@gipa.ge
მობ: +995 595 599 655